№ 237 ნოემბრის 2, პარასკევი. 1866—1884 ნოემბრის 2, პარასკევი. № 237.

„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების" ფასი ნოემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 2 მანათი.

### შინაური ქრონიკა

— ამ მოკლე ხანში «წერა-კითხვის საზოგადოებას» კიდევ მიუღია საჩუქრად რამდენიმე ძველი ხელ-ნაწერი წიგნი თავის ბიბლიოთეკისათვის. ამას გარდა შეუწირავთ რამდენიმე სურათი, დახატულნი ერთის ახალგაზრდა ქართველის მხატვრისაგან. ამ სურათებში შოთა რუსთაველის სურათიც ურევია თურმე და დახატვითაც ურიგოდ არ არის დახატულიო.

— ამბობენ, რომ იგივე «საზოგადოება» აპირებდა სკოლების გამართვას სოფ. მცხეთაში და მაყაში, მაგრამ ეს საქმე ჯერ-ჯერობით დაბრკოლდა, რადგან სახალხო სკოლების დირექტორისაგან ნება-რთვა არ მოსვლიაო და გუბერნატორსაც არ დაუმტკიცებია ამ სოფლების განაჩენიო. მიზეზი განაჩენების დაუმტკიცებლობისა, სხვათა შორის ის არის, რომ განაჩენის ძალით სამი მზრუნველი აურჩევია სოფელს სკოლისათვის, როდესაც მას მხოლოდ ერთის მზრუნველის არჩევის ნება აქვს კანონითაო. იმავე განაჩენების ძალით, სოფლები სკოლებს საზოგადოების უწყებას უქვემდებარებენ და სოფლებს კი ის უფლება აქვთ, რომ ვისაც უნდათ, იმას დაუქვემდებარონო. თვით წესი სასკოლო გადასახადისა, რომელიც სოფელმა უნდა შეიტანოს ხაზინაში, საიდამაც მერე „წერა-კითხვის საზოგადოება" იღებს და ჰხარჯავს სკოლის საჭიროებაზე, მთავრობას არ უცვნია მოსახერხებელ წესად; თუმცა „საზოგადოება" ამ წესით ბარე სამ სკოლას აწარმოებს კიდეც დღეს.

წუხელის «საზოგადოებას» უნდა ჰქონოდა სხდომა ამ საგანზე. რას გადასწყვეტს საზოგადოება, — ამას შემდეგ ვაცნობებთ მკითხველებს.

— ჩვენ ვნახეთ სამი ვერცხლის ხატი, რომელიც საქართველოდამ ეგზავნება მიტროპოლიტს ისიდორეს იუბილეის დღისთვის. ხატები მშვენიერი ქმნულებანი არიან ხელოვნებისა. თითოში სამ გირვანქამდე ვერცხლია და ემალით არის ნაკეთები იმ მხატვრობით, რომელიც მიუცია ოსტატის ანდრეევისათვის მხატვარს სტ. საბინზუსს. ეს ნახატები ქართულისა და ბიზანტიის სტილზედ არიან ნამუშევარნი. თითო 400 მანათამდე დაჯდარა, მაგრამ ღირებით ძალიან ძვირფასნი არიანო.

ერთის სიტყვით, კაცი ცქერით ვერ გაძღება და თვალს ვერ მოაშორებს ამ საკვირველს ხელოვნებას თუ ოსტატისას, რომელსაც ემალით უკეთებია ასეთის გულ-დადებით ოქროში ცურვილის ვერცხლის მოჭედილობა, თუ თვით მხატვრის ხელოვანებას, რომელსაც ზედ-მიწევნით შეუსწავლია ადგილობრივი სამხატვრო სამკაულნი ძველის ნივთებისა და მხატვრობისა. ერთი ხატი წმ. ნინოს წარმოადგენს და ქართლ-კახეთის სამღვდელოებისაგან მიერთმევა იუბილიარს, მეორე დავით და კონსტანტინეს — იმერეთის და სამეგრელოს ეპისკოპოზის გაბრიელის და ბესარიონისაგან და იმერეთის სამღვდელოებისაგან და მესამე — ანდრია პირველ-წოდებულისა, — გურიის ეპისკოპოზის ალექსანდრესა და გურიის სამღვდელოებისაგან.

ერთი წუნი აქვს ამ საკვირველს ნამოქმედართ კაცის ხელისას: — ქვეშ ხატებს სახელი ქართულად კი არა, სლავიანურად უწერიათ.

— წარსულს ოთხშაბათს ჩვენმა დასმა წარმოადგინა ,,შეკლოხსა'', დრამა შექსპირისა. უმთავრესი მომქმედი პირი დრამაში ურია შეკლოხსაა, რომლის როლი გ. ყიფიანმა ჩინებულად წარმოადგინა. მაგრამ დრამის თამაშობის დასაგვირგვინებლად და მერმე საზოგადოდ შექსპირის დრამებისას არა კმარა ერთი როლის კარგად შესრულება. ამ გვარს რთულს დრამას, როგორც ,,შეკლოხსა'', ერთი კაცი, რაც უნდა დახელოვნებული არტისტი იყოს იგი, ვერას მოუხერხებს. საჭიროა, უმთავრესს მომქმედს პირს გვერდით ჰყავდეს ისეთი მოთამაშენი, რომელნიც მცირედ მაინც მხარს აძლევდენ, უღელს უწევდენ უმთავრეს როლის ასრულებაში. ,,შეკლოხში''-კი გ. ყიფიანს ზოგი მოთამაშენი ხელს უშლიდენ სწორედ. საიდამ მოიგონა თუბალის როლის ამსრულებელმა, მაგალითად, რომ ვენეციაშიაც ისე უქცევენ ებრაელები ლაპარაკის კილოს, როგორც ჩვენში? თუბალის მაგიერ ქუთაისელი ურობა ურია გაჩნდა; საიდამ სადაო!? კარგი იყო ლანსლოტ (აწუწურელი) და ბასანიოსაც არა უშავდა-რა.

აქ არ შეგვიძლიან ერთი რჩევა არ მივსცეთ ბ. ნებიერიძეს, ანტრეპრენიორს ჩვენის დასისას: კვირაში ორის წილ, ერთი წარმოდგენა რომ გამართოს, ბევრად უმჯობესი იქნება. ბ. გამგე ჩვენის დასისა, ფიქრობს რომ ჩვენი საზოგადოება ორ ნაწილად გაჰყოფს: ერთის ნაწილისთვის ოთხშაბათობით დადგას ხოლმე კლასიკური და აზრიანი პიესები და მეორისთვის კვირაობით გამართოს ხალხური წარმოდგენები. თუ ეგ ჩვენი მოსაზრება სინამდვილესთან ახლოა, მაშინ ბ. ნებიერიძე შემცდარია. ნამდვილი მაგალითი ამისა წარსული ოთხშაბათი იყო. რა მრავალ-რიცხოვანია

---

«დროების» ფელეტონი, ნოემბ. 2-ს

### უსარგებლო გამეორება

(პასუხად დედა-ენის კრიტიკოსსა)

დიაღ, კარგი, სწორედ ჩინებული დარი დაუდგა „დედა-ენასა". ერთი წლის განმავლობაში მან გაიარა მთელი ოთხი კრიტიკა, მეტი ღვთის წყალობა კიდევ გნებავთ, — მეტადრე ამ ჩვენს უფერულს და ზანტს დროში, როდესაც იმისთანა დიდად საყურადღებო, ფრიად შესანიშნავმა ლიტერატურულმა მოვლენამ, როგორიც არის აკაკის ისტორიული პოემა, ჩვენს კრიტიკოსებს «ობლომოვშჩინა» ვერ შეურყია, ყური ვერ გააბერტყინა.

უკანასკნელი ჩვენი კრიტიკოსი არა ჰგავს, ვგონებთ, იმ პირთა, რომლებთანაც საუბარი არ შეიძლება. მასთან თითქოს დალაგებული ბაასი მოხერხდება, სადაო კითხვების დამშვიდებული გამოკვლევა, და საეჭვო აზრების დინჯად გამოძიება შეუძლებელი არ არის. ამიტომ ჩვენა გვსურს მას ცოტას-ხნობით გამოველაპარაკოთ.

თავდაპირველად ჩვენს მობაასეს ერთი საყვედური უნდა განუცხადოთ, რომელზედაც, იმედი გვაქვს, ყველა ხელს მოგვიწერს. რამდენადაც იგი უხვია პედაგოგიურს საზოგადო ფრაზების ხარჯვაში, იმდენადვე ძუნწობს კონკრეტულს შენიშვნებში, კონკრეტულს შეცდომების დასახელებაში. ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ ეს რიგი უკუღმა ყოფილიყო შეცვლილი, — ხელ-გაშლილობა ეხმარა იქ, სადაც ძუნწობს და ეძუნწნა, სადაც სიუხვეს იჩენს. ამიტომ რომ იმისთანა საზოგადო ფრაზები, როგორც: მახლობელიდგან გადასვლა შორეულზედ, ნაცნობიდგან უცნობელზედ, მარტივიდგან რთულზედ, კონკრეტულიდგან აბსტრაქტულზედ და სხვანი, უკვე საკმაოდ არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში, ხოლო კონკრეტული ანალიზი კი ძალიან იშვიათი ხილია და ამ ხილის მირთმევით საზოგადოების გულს უფრო მოიგებდა და ჩვენც მადლობას გვათქმევინებდა.

მეორე ძირითადი ნაკლულევანებაც კრიტიკისა თვალში გვჩხირებათ... ყოველი კრიტიკა უთუოდ რასმე ახალს უნდა იპყრობდეს, ახალს აზრს, მსჯელობას უნდა განუზიარებდეს მკითხველსა. წინაალმდეგ შემთხვევაში, თუ იგი მხოლოდ გამეორებაა ნათქვამისა, განხილულისა და გამტყუნებულისა, მის წაკითხვის შემდეგ ყველა ამას ამბობს: ეს რა დასაწერი იყოვო.... სწორედ ამისთანა ბედი ხვდა «მოკლე განხილვასა», და ჰხვდა იმიტომ, რომ მასში არის გამეორებული მხოლოდ მცირედი ნაწილი იმ შენიშვნებისა, რომელნიც ამ სამის წლის წინად ბადალმელმა წარმოსთქვა. თავის დროზედ ჩვენ ეს შენიშვნები ვრცლად განვიხილეთ ორს წერილში, რომელნიც დაბეჭდილნი იყვნენ «ივერიაში» და სადაც ჩვენ, ვგონებთ, გამოვააშკარავეთ მათი უსაფუძვლობა. ჩვენ მოველოდით, რომ ამ გვარს უხეირო კილვაზედ ხელს აიღებდენ და არც თვითონ შეიწუხებდენ თავს და არც ჩვენ დაგვაკარგვინებდენ დროსა. მაგრამ მოვსტყუვდით. ახლანდელს ჩვენს კრიტიკოსებს სრულიად საჭიროდ არ მიაჩნიათ გაცნობა იმ ბაასისა და მსჯელობისა, რომელიც წინედ გამართული იყო იმ საგნის თაობაზედ, რაზედაც მათ კრიტიკის დაწერა სწადიანთ.

უჩინარი კრიტიკოსი, ჩამდგარი ბადალმელის კვალში, ძლიერ გვიწუნებს ასოების რიგსა. რად? მიტომ, რომ გენეტიურს მეთოდს არ ეთანხმება ასოების დაწყობილობა „დედა-ენაში". მაგრამ თვით საუკეთესო რუსულს და ევროპიულს ანბანებში განა ეს მეთოდი სუფევს და მას აქვს მთლად დამორჩილებული რიგი ასოებისა? სრულიადაც არა. აბა გადაათვალიერეთ სამაგალითო «Родное слово» და ბუნაკოვის ანბანი, რომელიც უშინსკის წიგნის შემდეგ უკეთესს სახელმძღვანელოდ ითვლება და თქვენ აშკარად დაინახავთ, რომ ერთის დალაგება ასოებისა ძალიან ბევრში ეწინააღმდეგება მეორისასა და ორივენი დიდ მანძილზედ არიან დაშორებულნი გენეტიურის მეთოდის მოთხოვნილებაზედ. აი რა რიგზედა აქვს ასოები დაწყობილი უშინსკისა: о, с, и, ы, у, в, е, л, ш, й, я, н, г, т, м, п, д, ц, з, р, к, х, б, ж, ч, щ, ф. ბუნაკოვი მისდევს სრულიად სხვა რიგსა, სახელდობრ: у, т, к, а, е, л, п, с, о, р, м, я, в, д, ы, ч, ѣ, ю, ж, г, з, н, б, х, ш, щ, ф.

ამასთანავე დიდი განსხვავება გეცემათ თვალში ვოდოვოზოვის, პაულსონის, ბარონ კორფის და სხვა ცნობილი პედაგოგების ანბანებში. რად ხდება ესა? იქნება გენეტიური

ჩვენში თეატრში მოსიარულე საზოგადოება, რომ მისი ორად გაყოფა შესაძლებელი იყოს?..

— თათრულის გაზეთის „ქეშკულის“ (გამოდის თბილისში) სიტყვით ამ ცოტას ხანში ინგლისიდამ ჩასულა ურმში (სპარსეთი) ახალი დასი ამერიკის მისსიონერთა, რომელსაც შეუძენია დიდი შენობა, ამ მაზრის შიგ შუა ადგილს, სადაც გაუმართავს სკოლა, საავადმყოფო და სტამბა, რადგან სამისიონეროშემე შეუდგა რელიგიურის მიმართულების გაზეთის გამოცემას, რომელიც 40 კაპ. ღირება წელიწადშიო. გაზეთის სიტყვით ამ ამერიკელ მისსიონერების ქადაგებას დიდი გავლენა აქვს თურმე სპარსეთში და აუარებელი რიცხვი მაჰმადიანთა და სომეხთ-კათოლიკეთა გადადიან პროტესტანტების სარწმუნოებაში.

— სოფ. ველის-ციხიდამ გვწერენ: „თავადის დონდუკოვ-კორსაკოვის მოსვლამ ჩვენს სოფელში, ამ თვის 21, სხვათა-შორის, მოუტანა ერთი დიდი სარგებლობა ჩვენს გლეხობას. ამ დღეს ორი გაპარდნილი ავაზაკი გადასტამვილი და მნიაშვილი თავის ნებით გამოეცხადენ მათს ბრწყინვალებას და სთხოვეს შემსუბუქება სასჯელისა. პოლიცია კარგა ხანია სდევნის ამათ, მაგრამ ვერ დაიმორჩილა და დღეს კი ხელებ გაკრულნი გაგზავნეს სიღნაღის საპყრობილეში.“

— ონელი (რაჭის მაზრა) კორესპონდენტი გაზ. „იურიდ. მიმოხილვისა“ იწერება, სხვათა შორის, შემდეგს ამბებს:

„ამ დღეებში სოფ. ღარში, ღამით, მოჰკლეს თავის ბაღში ყრუ-მუნჯი გლეხი იოსებ არჩვაძე. ამის სიკვდილის შემდეგ მთელი მამული მისი, როგორც გადაშენებულის გლეხისა, გადავა მებატონეს ხელში. არჩვაძე იყო კეთილი და ყველა მეზობელთაგან პატივცემული გლეხი. ამბობენ, ვითომ მკვლელობის რამოდენიმე დღით ადრე ორჯერ დაელევინებინოსთ არჩვაძისათვის მოწამლული ღვინო. არჩვაძეს მებატონესთან ჰქონდა საჩივრები და კიდეც წაერთმეოდა ყოველივე მამული, რომ გასულს წელს მისს მეუღლეს, დღეს ქვრივს, არ ეჩივლა ქუთ. გუბერნატორთან, რომელმაც არჩვაძეს ხელ-ახლად დაუბრუნა მამული. ერთი წელია, რაც ჰფლობდა ეს საწყალი კაცი თავის მამულს და წელს რთველის მოწევაც ვერ მოასწრო. — ხმასავრცელებენ, ვითომც არჩვაძეს თვითონ მოუკლავს თავი; მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ თოფი უსროლიათ მისთვის და ტყვია მარჯვენა საფეთქლის ზევიდამ კეფაში გავარდნიაო; თოფი, რომელიც მოკლულთან უნახავთ, მებატონეს ეკუთვნის; ეს თოფი გაუტენელი გადაუცია, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მკვლელობა მოხდა, არჩვაძისათვის მეზობელ მებაღეს ბასილა მეტრეველს; არჩვაძეს კი არა ჰქონდა არც წამალი და არც ტყვია.“

„ჩვენი ნოტარიუსი დ—ი სასამართლო პალატის განჩინებით გადაყენებულ იქმნა სამსახურიდამ და მიეცა სამართალში სხვა-და-სხვა ბოროტ მოქმედებისათვის.“

„მიეცა სამართალში აგრეთვე ჩვენი პოლიციის პრისტავი ჯე... ქუთაისის გუბერნიის სასამართლოს განჩინებით. პრისტავმა ორმოცდა შვიდს პირს გადასახდევინა ჯარიმა სასმელების წესების დარღვევისათვის და ეს ფული, მანიფესტის მოლოდინით, არ შეიტანა ხაზინაში.“

„მოსავალი ვერ არის წელს ჩვენში კარგი. წვიმებმა დააზიანეს პური და ღვინოც ყველგან მჟავეა. გზები ცუდს მდგომარეობაშია, ზამთარი კარზე გვადგას და მათს შეკეთებას არც კი ჰფიქრობენ“.

— სომხურ გაზ. „ნორ-დარს“ სწერენ, სხვათა შორის, არზრუმიდამ, რომ გასულის თვის პირველს რიცხვებში რომიდამ არზრუმში დაბრუნებულა არზრუმელი სომეხთ-კათოლიკეთა ეპისკოპოსი და თან ჩამოუყვანია რამდენიმე პირი იეზუიტის ორდენისა. ამათ დაუყოვნებლივ გაუხსნიათ პანსიონი, რომელშიაც სარწმუნოების გაურჩევლად იღებენ ყველა ბავშვებს და ასწავლიან ძველს, დახავსებულს მეთოდზე, ისე როგორც ოდესმე ასწავლიდენ კათოლიკეთა მონასტრების სკოლებშიო.

— თევზის ჭერაზე შემდგარი წესდება, იმ ადგილებში, რომელიც ხაზინას ეკუთვნის ამიერ კავკასიაში აღმოსავლეთით, ჯერ-ჯერობით, როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ს გაუგონია, არ იქმნება განხილულიო და ეს ადგილები ისევ ძველის რიგით გაიცემიან იჯარითაო.

## ხმა სვანეთიდგან.

მკითხველს ეცოდინება, რომ სვანეთის საპრისტავო ლეჩხუმის მაზრაზეა მიწერილი და ექვემდებარება უკანასკნელის უფროსს. ამისათვის ლეჩხუმის მაზრის უფროსები დრო გამოშვებით მიდიან ხოლმე სვანეთში დასახედავათ და მისს ავ-კარგიანობის გასაგებად. წრეულსაც — სეკტემბერში — სვანეთს ეწვია ლეჩხუმის მაზრის უფროსი როძევიჩი. როძევიჩმა სვანების სიყვარული დაიმსახურა თავისი უბრალო და ტკბილის მოქცევით ხალხთან. ხალხში ბატ. როძევიჩი ისე იქცევა, როგორც ერთი მათგანი, აქ ერთს გაუცინებს, წაეხუმრება, იქ მეორეს დაადებს ბეჭზე ხელს და ისე ელაპარაკება, იქ ბავშვებს მოიყვანს თავისთან, დაუყვავებს, რამე პატარა საჩუქრებს მისცემს და სხვა: ამ გვარი თავდაბალი და ტკბილი კაცი სვანების საქმეა და კიდევაც იმიტომ უყვარსთ ბ. როძევიჩი.

პირველად ბატ. როძევიჩმა ნახა კალის და უშგულის საზოგადოებანი. ორივე ამ საზოგადოებამ ერთ ხმით მოახსენეს როძევიჩს საჩივარი სვანეთის პრისტავზე. „ჩვენ — უთხრა საზოგადოებამ — ბატონ გუბერნატორის და თქვენს მოსვლას მოველოდითო, თორემ რამე უბედურება მოგვიხდებოდაო, იმდენად შეგვაწუხა პრისტავის მრავალ გვარ შეუსაბამო და უკანონო ქცევამაო.“ აქ ხალხმა ჩამოუთვალა თითოეულად საჩივრები, რომელთაგან ჩვენ მარტო — რამოდენიმეს მოვიყვანთ, რადგანაც ყველა საჩივრების დასახელება მოუხერხებელია. თავდაპირველად ხალხმა მოახსენა, რომ პრისტავმა კერძო ინტერესებისათვის მოახდინა უწინდელი უკანონოდ მცხოვრებ ცოლ-ქმართ გაშორებაო, რომელმაც დიდი ეკონომიური ზარალი და ზნეობითი მწუხარება გამოავლებინა თვით დაშორებულთ, მათ შვილებს და ჩვენცაო. „მათის ცოდვით ჩვენც ვიწვითო“, დაუმატა ხალხმა. რამდენიმე კაცმა, რომელთაც უკანონო ცოლები მოაშორეს, მოსახლობაზე ხელი აიღოვო. ხალხმა დაიჩოქა და სთხოვა როძევიჩს ეს მ—ვის უგვანო განკარგულება დაერღვია, თუ არ ჰსურს რომ სვანეთში უბედურება არ მოხდესო.

მეორედ იჩივლა ხალხმა, რომ იმავ

---

მეტოდი ისეთი სიბრძნე იყოს, რომ ამ ნიჭიერ პირთ ვერ შეუგნიათ აქამდის? სრულიადაც არა. ყველა ამ პირთაგანი ორი წამის განმავლობაში დაგილაგებდათ და დაგილაგებთ ასოებს გენეტიურს სისტემაზედ. მაშ რატომ არ ემორჩილებიან მას? მიტომ, რომ გენეტიური მეთოდი უნდა განუზიარებლად, მთლად უფლებდეს მხოლოდ ანბანზედ დამოუკიდებელს დედანში, რომლის ერთად-ერთი საგანი წერის სწავლებაა. ანბანისა და პირველი საკითხავი წიგნისათვის კი წერა მხოლოდ ერთი დანიშნულებაა სხვათა დანიშნულებათა შორის.

ახლანდელს მეთოდზედ შედგენილი ანბანი მისდევს ჯერედ საგნების შესწავლასა, მერმე კითხვისასა და ბოლოს წერისასა. ხშირად, რაც წერისათვის სასარგებლოა, ის საგნების ჯეროვანს რიგზედ შესწავლასაც ეწინააღმდეგება და კითხვის პროცესსაც აძნელებს. ადგილი, რომელიც ასომ უნდა დაიჭიროს გონივრულად შემუშავებულს ანბანში, დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად საჭიროა ეს ასო მოხერხებული სურათისათვის, რამდენად ადვილია გამოსათქმელად და შესაერთებლად სხვა ასოებთან, რამდენს მასალას აძლევს სიტყვებისა და ფრაზების შესადგენად, რამდენად ადვილია საწერად და სხვანი.

ავიღოთ მაგალითად ასო ჟ; წერის სიადვილეს თუ მივაქციეთ ჩვენი მთელი ყურადღება, ეს ასო სულ თავში უნდა მოვაქციოთ. მაგრამ ამას ვერას გზით ვერ მოახერხებთ, ჯერ იმიტომ, რომ მისი გამოთქმა ხამს ბავშვებს ძლიერ უძნელდებათ, უძნელდებათ აგრეთვე მისი შეერთება სხვა ასოებთან, მერმე იმიტომ, რომ ამ ასოს შემწეობით და იმ ასოების ხმარებით, რომელნიც საწერად ადვილნი არიან, თქვენ ვერ შეადგენთ რომელიმე ცნობილი საგნის სახელსა და ვერ მისცემთ მოხერხებულს სურათსა საგნის შესასწავლად, — ბოლოს იმიტომ, რომ, თუ მომეტებული ნაწილი ასოებისა გათავებული არა გაქვთ, თქვენ ვერ შეადგენთ ამ ასოს შემწეობით საკმარისს სიტყვებსა და ფრაზებსა სავარჯიშოდ კითხვაში. ამიტომ იძულებული ხართ ასო ჟ ან შუაში მოაქციოთ და ან სულ ბოლოში გადიტანოთ.

რომ კრიტიკოსს დაახლოვებულად არა აქვს გაცნობილი ის მოთხოვნილებანი, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს რიგიანად შედგენილი ანბანი, ცხადად სჩანს ყოველი მისი კონკრეტული შენიშვნიდგან შესახებ ასოების სიადვილე — სიძნელისა და ადგილისა, რომელიც მათ უნდა ეჭიროთ. ჩვენს ანბანში მეორე ადგილი უჭირავს ასოს ხ, მესამე ასოს ს. ეს მას არ მოსწონს და ამბობს, რომ მეორე ასოს პირველის ადგილი უნდა ეჭიროსო და პირველი ასო მეორის ადგილს უნდა იქმნასო გადმოსმული, რადგანაც საწერად ს უფრო ადვილია ხ ზედაო. ასო ხ რომ უწინდებურად იწერებოდეს, ჩვენი მობაასეს მოსაზრებას საფუძველი ექმნებოდა; მაგრამ ეხლა ეს ასო ჩვენ დედანშიაც, გაბიჩვაძისაშიაც და სხვაგანაც ისე იწერება, რომ მარჯვნივ ნახევარ რგოლით თავდება; ასოს ს-ს კი მარჯვნივ მრუდე რკალი აქვს, — და რადგანაც რგოლის წერა უფრო ადვილია მრუდე რკალზედ ამიტომ ხ, უფრო ადვილ საწერად უნდა ჩაითვალოს. ესეც რომ არ იყოს, ს მეორე ადგილს ვერ მივსცემდით, რადგანაც იმისთანა ადვილ ასოსთან შეერთებით, როგორც არის ე, თქვენ ვერ შეადგენთ რეალურის, დასახატავი საგნის სახელსა, ხ ხმარებით კი სდგება იმისთანა მარჯვე სიტყვა, როგორც ხე.

არც ქ და ვ შესახებ არის შესაწყნარებელი კრიტიკოსის მოსაზრება. ჩვენ ანბანში პირველი ასო წინ უძღვის მეორესა. ეს არ მოსწონს მას და ადგილის ცვლასა თხოულობს, რადგან მეორე ასოს დაწერა უფრო ადვილად მიაჩნია, ვიდრე პირველისა. თუმცა ეს შედარებითი სიადვილე ფაქტია; მაგრამ ადგილის ცვლაზე ვერ დავეთანხმებით, ჯერ იმიტომ, რომ მასვე გაებუტება გენეტიური მეთოდი, რადგანაც რთული ასო წინ მეექცევა უფრო მარტივსა, რომელიც პირველის ელემენტს შეადგენს, მერმე იმიტომ, რომ ქ კაფიოდ გამოთქმისათვის ბევრად ადვილია ვ-ზედ და ადვილადვე უერთდება, უკავშირდება ყოველ გვარს ასოსა, კითხვის პროცესს აადვილებს, და ბოლოს იმიტომ, რომ ეს ისეთი დალოცვილი ასოა, რომ რომელ ხმოვან ასოებთანაც გინდა დააკავშირო, ყოველთვის რაიმე სიტყვა გამოვა, რის გამოისათაც მდიდარს მასალას იძლევა საკითხავად.

უფრო კიდევ უსაფუძვლოა კრიტიკოსის აზრი შესახებ ასოსი ზ; ეს ასო მას მიაჩნია ისე ადვილ საწერად, რომ

პრისტავმა მ—ოვმა 1882 წლის ბეგარა გამოგვართვა და—როგორც გავიგეთ—ხაზინაში არ წარუდგენია და არც ჩვენთვის დაუბრუნებიაო. ამას გარდა 1883 წელს ჩვეულებრივ ბეგარას კომლზე ექვს-ექვსი შაური მოგვემატა და არ ვიცით—რისთვისაო და სხვა-და-სხვა... ბოლოს ერთიანად დაიგრიალა ხალხმა და სთხოვა ბატ. როდზევიჩს, რომ პრისტავი გადაეყვანა სვანეთიდგან, თორემ მაგისი გაძლება არ შეგვიძლიაო. მაზრის უფროსმა დაამშვიდა აღელვებული ხალხი და დაჰპირდა, რომ ყოველს მისს კანონიერ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს და უკანონო ცოლ-ქმრობის შესახებაც იშუამდგომლებს მთავრობასთან, მხოლოდ ამიერიდგან კი უნდა მოისპოს ამ გვარი კანონიერი ცოლ-ქმრობის მოტაცება, რაზედაც ხალხმა თანხმობა გამოუცხადა.

ქალის საზოგადოებიდგან მაზრის უფროსი ჩაჰყვა სვანეთის საზოგადოებათა. ხალხი ყველგან თავ მოყრილი ხვდებოდა; ქველგან მაგნაირი, რამოდენიმე დამატებითი საჩივრები ხვდებოდა ბ. პრისტავზე სხვათა შორის დატალის საზოგადოებაში რაღაც „ხუთი ძროხის და ხარის ტყავების ისტორიისა“ უთხრეს ბატ. როძევიჩს: „მ—ემა ისე შეგვაძულა თავი, რომ—გთხოვთ პრისტავად სულ უცხო ვინმე დაგვინიშნოთო“. ეს დატალელების თხოვნა მთავრობამ კიდეც აასრულა: სვანეთის პრისტავად დანიშნა ზუგდიდის პოლიციის პრისტავი, გვარად ა—კი და მ—ვი უადგილოდ იქმნა დათხოვნილი. რა მოჰყვება ბეგრის ფულების ისტორიას და სხვა საჩივრებს, ჯერ არ ვიცით; კარგი კი იქნება მ—თვის, თუ იგი მარტო უადგილოდ დათხოვნას, ფულების გადახდას (800 მანეთამდეა) დააჯერეს და პასუხის გებაში არ მისცეს სასამართლოს წესით.

უწინდელ უკანონო ცოლ-ქმართ შესახებ, რომელნიც ბ. მ—ვმა ერთის ბრძანებით გააშორა, ჩვენ ნამდვილად გავიგეთ, რომ გუბერნიის ადმინისტრაციას—თანახმად ბატ. როძევიჩის წარდგინებისა, დაურღვევია მ—ვის განკარგულება და უწინდელ უკანონოდ შეუღლვილთ ნება მიეცათ ერთად ცხოვრებისა.

აქ კი საჭიროდ ვრაცხთ ახლად დანიშნულ პრისტავზე ჩვენი მოსაზრება წარმოვსთქვათ.

მას აქედ, რაც რუსეთის მმართებლობა შევიდა სვანეთში ე. ი. 1847 წლიდგან, რუსი პრისტავად სვანეთში პირველად ინიშნება. როგორც შეეთვისება ხალხს ახალი პრისტავი და ხალხი მას, ამას მომავალი გვაჩვენებს;

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ოქტომბრის 30-ს.

**ლონდონი.** მმართებლობამ მოითხოვა დამატებითი კრედიტი 725,000 გირვ. სტერლინგი ბეჩუანების ქვეყანაში გალაშქრებისათვის და შეამდგომელობს 1,300,000 გირ. სტერ. კრედიტისთვის ჯარისა და ფლოტის შესანახავად ეგვიპტეში.

**ზონ კონზი.** ჩინელებმა იერიში მიიტანეს ფრანცუზების წინაარმდეგ კეკინგთან, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ დიდის ზარალით; ფრანცუზებმა შეიპყრეს ჩინელების კანონერკა.

**პარიჟი.** მონსო-ლე მინში გაჩხრეკის დროს, იპოვნეს ქაღალდები, რომელნიც ამტკიცებენ იდუმალის საზოგადოების არსებობას.

**თეირანი.** ყარადაღის ოლქის აჯანყებულმა ხალხმა მოკლა გუბერნატორი და აიკლო სომხების რამდენიმე სოფელი. სპარსეთის მემკვიდრე პრინცი წავიდა ყარადაღს წესიერების აღსადგენად.

# ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდის.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდის. საბებო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

**სააავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი,** ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა,** სამშაბათობით.

**ბაგინოვისა,** ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

---

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-

---

მეცხრე ადგილი, რომელიც მას უჭირავს დედა-ენაში, შეუფერებლად მიაჩნია და ითხოვს მის გადატანას უფრო კიდევ თავში. ყოველი ცოტაოდნად გამოცდილი მასწავლებელი დაგვეთანხმება, რომ თუ ამ ასოსათვის ადგილის ცვლა საჭიროა, იგი უნდა გადატანილ იქმნას ქვემოდ, ზემოდ კი მისი გადმოტანა საფიქრებელიც არ არის...

მართალია, ჩვენი ანბანის დაწყობილობაში რაოდენიმე ასო, გამოხატულობით მსგავსი, ერთმანეთს დაშორებულია; მაგრამ აბა შეადარეთ უშინსკის და ბუნაკოვის დაწყობილება ჩვენსასა და ნახავთ, რომ იქ უფრო ხშირია ეს დაშორება მსგავსი ასოებისა და ამასთან იშვიათად არ უძღვის წინ რთული ასო მარტივსა, რომელიც პირველის ელემენტს შეადგენს. მიუხედველად ამისა, მათი ანბანის უხეირობის დაჟინებული ქადაგება არავის ჭკუაში არ მოსდით. ჩვენში კი სწორედ გაცვითეს ჟურნალგაზეთების ფურცლები ამდენი წვრილმანი კილვით და კიცხვითა.

ჩვენი კრიტიკოსი ბრძანებს, რომ ზოგიერთა გამოუცდელს მასწავლებლებს ბოგებაშვილი ავტორიტეტად გაუხდიათ, ბრმად ემორჩილებიან მის ასოების სისტემასა და ამის გამო ერთი სამად მეტს დროს ახმარებენ ანბანის შესწავლასაო. აქ რამდენიც სიტყვაა, იმდენს შეცდომას იპოვნით. თუ ჩვენი შრომა ვისმე დაუფასებია, ესენი უთუოდ ყოფილან განვითარებულნი და გამოცდილნი პირნი; წინაალმდეგ ამისა, თუ ჩვენი წიგნები ვისმე უსაფუძვლოდ უკილავს, ეს ყოველთვის ჩაუდენიათ გამოუცდელს, ახლად სკოლის სკამიდგან გადმოსკუპულს მასწავლებლებსა. ზაიხსენეთ, ვინ არის ერთის მხრით, მაგალითად, ბატ. ზიორგი Iოსელიანი და მეორეს მხრით ზადალმელი, ჭუთათური ზორა და სხვანი და თქვენ აშკარად დაინახავთ, რომელს კამპანიას აძლევთ ზანსა, რომელს დასში ერევით.

აგრეთვე, ერთი სამად უძნელდებათ ანბანის შესწავლა სწორედ იმ სკოლებში, სადაც მოქმედობენ გამოუცდელნი მასწავლებელნი, რომელთაც მხოლოდ თავისი თავი მიაჩნიათ ავტორიტეტად და ასოების უაზრო გადასკუპ-გადმოსკუპით ჰსურთ დაამტკიცონ თავიანთი მსჯელობის დამოუკიდებლობა, და მართლაც ამტკიცებენ, მაგრამ ამას კი არა, ზერნეს აფორიზმის სიმართლეს: უმეცრებაზედ მამაცი არაფერი იქმნება ქვეყანაზედაო. ზაიცანით, მაგალითად, წინამძღვრიშვილის სკოლის მასწავლებლის მოქმედების ნაყოფი დედა-ენის შესახებ, ერთის მხრით და მეორეს მხრით, ერთი თბილისელი მასწავლებლის მოქმედება, რომელიც სიზმარშიაც კი თურმე დედა-ენას კიცხავს და ასოების ქარაფშუტული გადასკუპ-გადმოსკუპებით ილაჯს უწყვეტს ბავშვებსა. თუმცა პირველი ბევრი დაბრკოლებით არის გარემოცული, მეორეს კი უკეთესი პირობანი ახვევია გარსა; მაგრამ წინამძღვრიანთ კარში ერთს წელიწადს თითქმის ათავებენ დედა-ენას ყოველივე ვარჯიშობით, მაშინ როდესაც თბილისში ორს წელიწადსაც ვერ ასწრობენ.

კრიტიკოსმა დედანსაც გადაჰკრა და ერთი დიდი შეცდომა აღმოაჩინა, სახელდობრ ისა, ვითომც ჩვენ ორმოც ელემენტად დაგვეყოს ქართული ანბანი. ეს ტყუილი დაწამება მოუხდა იმიტომ, რომ ასოების ნაწილები, რომელიც ჩვენს დედანში არის მოქცეული მესამე გვერდის ბოლოს, საერთო ელემენტებად ჩაუთვლია. ნამდვილად კი საზოგადო ელემენტები პირველს სტრიქონში (რგოლამდის) არიან მოქცეულნი და მათ შემდეგ მისდევს ნაწილები ყოველი ასოებისა იმ განძრახვით, რომ მასწავლებელს გაუადვილოთ ნაწილებად დაშლა ყოველი ასოსი მისი წერის სწავლების წინა. ეს ნაწილები უკეთესი იქმნებოდა მოქცეულიყო თვითეული ასოს წინ და არა ელემენტებთან ყოფილიყო მოთავსებული, მაგრამ ერთმა მეხანიკურმა დაბრკოლებამ შეგვიშალა ხელი. რაც შეეხება კრიტიკოსის აზრსა, რომ ქართულს ანბანში ათი-თერთმეტი ელემენტიაო, ესეც შეცდომაა. თუ, როგორც რიგია, სათვალავში ჩავაგდებთ მხოლოდ უმთავრესს ელემენტებს, აღმოჩნდება მხოლოდ ხუთი ელემენტი: რკალი, რგოლი, სწორე ხაზი, ალმაცერი ხაზი და მრუდე ხაზი. თუ წვრილმანს, განსხვავებულს ნაწილებს ასოებისას გამოვუდგებით და ელემენტებად ჩავთვლით, მაშინ ეს სიმდიდრე ძლიერ იმატებს და ოცზედ მეტს ელემენტს შევიძენთ.

(დასასრული შემდეგში)

და-ხლ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1884 წ.

| | |
|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა | 1 გირ. 5 კ. |
| ჭარჭის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | 1 გ. 2 1/2 |
| მეორისა | 1 გ. 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: პირველი ხარისხისა | 1 გ. 4 1/2 |
| მეორისა | 1 გ. 3 კ. |
| მესამისა | 1 გ. 2 1/2 |
| ჭვავის-მჟავე პური: პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. 4 1/2 |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. 3 1/2 |
| მესამისა | 1 გ. 3 კ. |
| ძროხის ხორცი: პირველის ხარისხისა | 1 გ. 7 კ. |
| მეორისა | 1 გ. 6 კ. |
| ხუჯა | 1 გ. 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გ. 7 კ. |
| ღორის ხორცი: პირველის ხარისხისა | 1 გ. 7 კ. |
| მეორისა | 1 გ. 6 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით. სწრაფი 10 ს. 58 წ. დილ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და ხარასკევობით სწრაფი 7 ს. 53 წ. დილ.)


## განცხადებანი

ძიებენ

ქართულის ენიდამ ფრანცუზულ ენაზე მთარგმნელს კაცს ანუ ქალს ადრესი: «დროების» რედაქცია. (3—2)

პატივის ცემით ვაცნობებთ საზოგადოებას, რომ საგემო კამპანიამ MESSAGERIES MARITIMES-სამ გადმოგვცა ჩვენ უმთავრესი სააგენტო ბათუმში და ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვთ გასაგზავნ თუ მისაღებ საქონლების პატრონთ ამიერიდამ მოჰმართონ ჩვენს კანტორას.

ელლერს ბურჰარდტ და კამ. (5—3)

გამოვიდა და ისყიდება

## ელისო

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში და არწრუნისეულ სთავტორთ გასაში.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი: ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა. არსენა, დრამა 3-ს მოქმედებად. ღილა ქორწილის შემდეგ, კომ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის" პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—8)

### ინგლისური რკინის კროვატები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. გარდა მეძლებ ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, გარდა ამისა სხვაგან სდება: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, სამოვრები, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფანარები, დასადგმელი, პირის-სახანი, სტაქნები, სუფრები, საწოლ-ტები, რიუმკები, გრაფინები, საჭმელი თეფშები, ბლიუდები, სასადილოები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გრაფინის საფენები, ჭიქები და გ. ქაღალდის, ჭიქის, ტანისამოსის საკიდები, საზეთე მაკრატლები, ჭიქები, თეფშები, ნიჩბები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ნაჯახი, ზარები, ლამპები, სანთლები, ხელსაწყოები, ნიჩბები, კაჭრები, საპარსი, ზღვის ბალახი, ღილები და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში № № 156, 157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ეურჩიეთ მაძებოთ. (100—63)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

### არითმეტიკა

სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ ზაალიშვილისაგან.

ფასი 80 კ. გაგზავნით 1 მან. (10—7)

გამოვიდა და ისყიდება

თბილისში — „ნობათი"-ს რედაქციაში (ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლში № 7), შავერდოვის სააგენტოში და

ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში

# ორინიკე ერისთავი

ისტორიული პოემა

თხზ. აკაკისა. გამოცემა ჟურნალი „ნობათი"-ს რედაქციისა.

ფასი ერთი მანათი.

ვინც ამ წიგნს პირ-და-პირ „ნობათი"-ს რედაქციიდამ დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი არ გადიხდება. (5—5)

გამოვიდა და ისყიდება

ბრ. ჩარკვიანის და ზაქ. ბრიქეროვის (კავკასიის) წიგნის მაღაზიებში:

# ვისრამიანი

რედაქტორობით

ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე სარაჯიშვილის და პეტ. უმიკაშვილის.

ფასი ერთი მანათი და ათი შაური. (3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება, თბილისის, ქუთაისის, გორის და თელავის წიგნის მაღაზიებში

# საქართველოს

## მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კოპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул. № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად. (10—10)

### არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—24)

საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები უოკელის «ხელისათვის» — 25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭდები, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შნოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაგინტოშები, კრაგები, საქქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარა — 20 კ. (100—21)


Доз. ценз. Тифлисъ, 1 Ноября 1884 г. სტამბა ბრ. ქანანდარიძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი